ტექნიკური შედეგი არ არის მთავარი
თბილისის “დინამოსა” და ცდსა–ს მატჩის გამო

თბილისის “დინამოსა” და ცდსა–ს ფეხბურთელთა გუნდებს შორის სსრ კავშირის თასის გათამაშების მეოთხედფინალურ მატჩს, რომელიც 6 ოქტომბერს გაიმართა “დინამოს” სტადიონზე, მოუთმენლად მოველოდით თბილისელი მაყურებლები. სსრ კავშირის პირველობაზე თბილისელებმა ორივე მატჩი წააგეს არმიელ ფეხბურთელებთან (0:3, 0:2). ყველას გვაღელვებდა ერთი კითხვა: ბოლოს და ბოლოს შეძლებდნენ თუ არა “დინამოს” ფეხბურთელები შელახული ავტორიტეტის აღდგენას და ღირსეულ მეტოქეებთნ ბრძოლაში გამარჯვების მოპოვებას.

მსაჯის ე. საარის (ტალინი) სასტვენის ხმაზე თბილისელთა ცენტრალურ თავდამსხმელს ზ. კალოევს ბურთი თამაშში შეჰყავს. მიუხედავად სველი, ატალახებული გრუნტისა, რაც სერიოზულად ართულებდა თამაშს, მატჩი მაღალ ტემპში დაიწყო. ჩვენთვის ცხადი გახდა, რომ გამარჯვებისათვის ორი თანაბარი სიძლიერის გუნდი იბრძოდა. მაყურებლები დარწმუნებული ვიყავით, რომ საინტერესო, დაძაბული სპორტული ასპარეზობის მოწმენი გავხდებოდით, მაგრამ მსაჯის ე. საარის არაობიექტურმა მსაჯობამ, მაყურებლებს იმედები გაგვიცრუა.

მე–10 წუთზე თბილისელთა საჯარიმო მოედანზე აშკარა თამაშგარე მდგომარეობაში აგაპოვმა ბურთი მიიღო ფედოროვისაგან და კარში დაარტყა. ბურთი მოხვდა ძელს და უკან დაბრუნდა. აგაპოვმა ახლა ბურთი ბელიაევს მიაწოდა, რომელმაც იგი კარში გაიტანა. თბილისელ დამცველებს იერიშის უვნებელყოფა არც უცდიათ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ მსაჯი სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებდა და თამაშს გააჩერებდა, ამასვე მოველოდით მაყურებლებიც, მაგრამ ასე როდი მოხდა, ე. საარმა ცდსა–ს ფეხბურთელებს დაუმსახურებლად აჩუქა ერთი გოლი. საბჭოთა მსაჯისათვის შეუფერებელი საქციელი სამართლიანი აღშფოთებისა და გულისწყრომის მიზეზი გახდა როგორც ფეხბურთელებში, ასევე მაყურებლებში.

მატჩი დამთავრდა არმიელთა სასარგებლოდ ანგარიშით 1:0. ეს ანგარიში არ შეეფერება ასპარეზობის ლოგიკურ შედეგს. მას შემდეგ, რაც ე. საარმა ცდსა–ს ფეხბურთელებს უკანონოდ გატანილი გოლი ჩაუთვალა, ჩვენ დავრწმუნდით, რომ თბილისის დინამოელები დამარცხებისათვის იყვნენ განწირულნი.

თბილისელ მაყურებლებს ვერავინ ვერ დაგვდებს ბრალს არაობიექტურობაში, მოვიგონოთ თუნდაც სსრ კავშირის პირველობაზე ამ გუნდების პირველი წრის შეხვედრა, რომელიც თბილისში გაიმართა, მაშინ გამარჯვებული არმიელები ჩვენ მქუხარე ტაშით გავაცილეთ მოედნიდან. წაგება არ არის მთავარი (სამწუხაროდ, ასეთ შედეგს ამ ბოლო ხანებში შევეჩვიეთ), მთავარი ის არის, რომ ასეთი მსაჯობით სახელი უტყდება ფეხბურთს და საერთოდ სპორტს.

ჩვენ მოვითხოვთ, რომ მსაჯმა ე. საარმა პასუხი აგოს საბჭოთა ფეხბურთის გავულგარებისათვის.

თბილისის “დინამომ” მატჩის შედეგი გააპროტესტა.

“ლელო”, 9 ოქტომბერი, 1955 წ.